



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

02 ნოემბერი 2015 წელი
თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი მიროტაძემ**

ზეპირი მოსმენის გარეშე, განვიხილე ა. ჩ. ო.-სა და ა. ი. ქ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინებაზე, საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორ მილენა მითაიშვილის საჩივარი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან თბილისის საქალაქო სასამართლოში 2015 წლის 12 ოქტომბერს განსახილველად შევიდა სისხლის სამართლის NXXXXXXXXXXXX საქმე, ა. ჩ. ო.-სა და ა. ი. ქ.-ს მიმართ, დანაშაულისათვის გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა ჩატარდა 2015 წლის 22 ოქტომბერს. აღნიშნულ სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის მიერ განხილული იქნა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი, რა დროსაც სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა ნაწილობრივ, კერძოდ, დაამტკიცა ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა პროკურორის მიერ სასამართლო სხდომაზე ჩამოყალიბებული მოცემულობით და ისინი დაშვებულ იქნა საქმის არსებით განხილვაზე, როგორც მტკიცებულებები, გარდა ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნუსხის პუნქტ 3.19-ში მითითებული 11.09.2015 წლით დათარიღებული ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანდართული მასალიდან ს.გ. 241-ზე წარმოდგენილი მასალისა; ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნუსხის პუნქტის 3.20-ში მითითებული 14.09.2015 წლით დათარიღებული ა. ი. ქ.-ს პირადი ნივთების დათვალიერების ოქმის თანდართული მასალიდან ს.გ. 257-262-ე, 265-267-ე, 269-272-ე წარმოდგენილი სამეზავრო დოკუმენტაციისა; ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნუსხის პუნქტ 3.25-ში მითითებული 23.09.2015 წლით დათარიღებული ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანდართული მასალიდან ს.გ. 332-352-ე, 354-356-ე, 358-ე, 363-373-ე, 375-382-ე, 386-ე, 388-ე, 392-398-ე წარმოდგენილი მასალისა და შესაბამისად, მტკიცებულებათა ნუსხის 5.5, 5.8 და 5.9 პუნქტებში მითითებული დალუქული სახით წარმოდგენილი იმავე ინფორმაციული მასალის დედნებისა.

სასამართლომ განმარტა, რომ ხსენებული მასალები, რომელთა მტკიცებულებად დაშვებასაც ითხოვს ბრალდების მხარე, წარმოდგენილია უცხო (ინგლისურ) ენაზე, ხოლო საქმეში წარმოდგენილი არ არის ხსენებული მასალის ქართული თარგმანი. კანონი კი იმპერატიულად ადგენს, რომ სამართალწარმოება - სისხლის სამართლის პროცესი უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე, შესაბამისად, ყველა საპროცესო აქტი

და დოკუმენტი შედგენილი ან ნათარგმნი უნდა იყოს სისხლის სამართლის პროცესის ენაზე. ხოლო, ვინაიდან მითითებული დოკუმენტები წარმოდგენილია უფხო ენაზე, ასეთ შემთხვევაში ხსენებული მასალები არ უნდა იქნას დაშვებული მტკიცებულებებად. სასამართლომ არ გაიზიარა, პროკურორის განმარტება, რომ დოკუმენტაცია გაგზავნილია სათარგმნად და ამიტომ ისინი დასაშვებად უნდა იქნან ცნობილი. სასამართლომ მიუთითა, რომ ხსენებული დოკუმენტების შინაარსობრივი მონაცემების გაცნობის შეუძლებლობისას, ქართულ ენაზე წარმოდგენილი თარგმანის წარმოდგენამდე ისედაც შეუძლებელია მითითებული მასალის წინასწარ, თარგმანის არარსებობის პირობებში, დასაშვებ მტკიცებულებებად ცნობა და საქმის არსებით განხილვაზე დაშვება და ამასთანავე, ხსენებული მასალის თარგმნა და წარმოდგენა შესაძლებელი იყო წინასასამართლო სხდომის გამართვამდე. ხოლო, ბრალდების მხარე ვალდებული იყო წარმოედგინა ისინი ნათარგმნი სახით და შემდეგ მოეთხოვა მათი დასაშვებად ცნობა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

2015 წლის 27 ოქტომბერს, ზემოაღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა საქართველოს მთავარი პროკურორატურის დეპარტამენტის პროკურორმა მილენა მითაიშვილმა, რომელიც ითხოვს ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების გაუქმებას და აღნიშნული მტკიცებულებების დასაშვებად ცნობას. საჩივარი და საქმის მასალები თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში მიღებული იქნა 2015 წლის 29 ოქტომბერს.

საჩივარში მითითებულია, რომ სასამართლოს ექვეყნებ არ დაუყენებია მტკიცებულებათა მოპოვების კანონიერება. ამასთან, დაცვის მხარის შუამდგომლობაზე ბრალდების მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა გამოეთქვა თავისი პოზიცია. სხდომაზე ბრალდების მხარემ განმარტა, რომ მტკიცებულებები გაგზავნილი იყო სათარგმნად, რის გამოც ობიექტურად შეუძლებელი იყო წინასასამართლო სხდომაზე თარგმანი ვარიანტის წარმოდგენა. მას შემდეგ კი რაც მიღებული იქნებოდა წერილობითი მტკიცებულებების ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანი, ბრალდების მხარე მას დაუყოვნებლივ გადასცემდა დაცვის მხარეს და წარადგენდა სასამართლოში. ამასთან, საქმეში მოიპოვება მიმართვის წერილი უცხოურ ენაზე შესრულებული წერილობითი დოკუმენტების სათარგმნად გადაგზავნასთან დაკავშირებით, რომელიც დათარიღებულია 2015 წლის 28 სექტემბრით. მაშასადამე, ბრალდების მხარემ წინასასამართლო სხდომამდე ერთი თვით ადრე გადააგზავნა დოკუმენტები სათარგმნად და არ უცდია რაიმე მტკიცებულების წარმოდგენის შეგნებულად გაჭიანურება. ყოველივე ზემოაღნიშნული კი გამოწვეული იყო ობიექტური გარემოებებით.

წარმოდგენილი საჩივრისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საჩივარში მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული პროკურორის არგუმენტები და მოსაზრებები, ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის ოქმიდან გამომდინარე საგამომიებო კოლეგიისთვის ცნობილია ბრალდებულთა (დაცვის მხარის) პოზიცია პროკურორის საჩივარში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისად, საგამომიებო კოლეგიის შეფასებით რაიმე საკითხი დამატებით, ზეპირი მოსმენით დაზუსტებას არ საჭიროებს და წარმოდგენილი მასალები სრულიად საკმარისია საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლის დისკრეციის (უფლებამოსილების) ფარგლებში, საგამომიებო კოლეგიამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბრალდების მხარის საჩივარი, შეისწავლა და გააანალიზა წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ ერთჯერადად, 5 დღის ვადაში საჩივრდება გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მეშვეობით, რომელიც საჩივარს, საქმის მასალებსა და წინასასამართლო სხდომის ოქმს დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს.

საკითხის განხილვისას, საგამომიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, არცერთ მტკიცებულებას

არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ხოლო, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს თუ როდის შეიძლება მტკიცებულება ჩაითვალოს დაუშვებლად. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს, რომ მხარის მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია. ხოლო, ამავე კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია. მტკიცებულება ასევე დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია ამ კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშანთვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალების შესწავლის შედეგად, საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ არ არის უარყოფილი გონივრული ეჭვი, მითითებული დოკუმენტების ავთენტიკურობასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, შეუძლებელია შეფასდეს დაუშვებლად ცნობილი ბრალდების მხარის მტკიცებულებები სისხლის სამართლის საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტები (წერილობითი მასალები) არ არის მოცემულ საქმეში წარმოდგენილი სამართალწარმოების ენაზე. შესაბამისად, გაურკვეველია მათი შინაარსიც და უცნობია ამ დოკუმენტებში მითითებული ფაქტები და გარემოებები, რის გამოც არ დასტურდება მათი შემხებლობა მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან.

საკითხის გადაწყვეტისას ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლისა და მის საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლში არსებული ჩანაწერი, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება ქართულ ენაზე. შესაბამისად, ვინაიდან სამართალწარმოების ენა არის ქართული, აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სისხლის სამართლის საქმეში ყველა დოკუმენტი თუ წერილობითი მტკიცებულება წარდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ეჭვ ქვეშ დგება, როგორც მისი ავთენტიკურობა, ისე შემხებლობა მოცემულ საქმესთან, ვინაიდან გაუგებარია ამ დოკუმენტების შინაარსი და ისიც, თუ კონკრეტულად რა გარემოებებზე მითითებას შეიცავს იგი.

რაც შეეხება საჩივარში მითითებულ გარემოებას, რომ დოკუმენტების ქართულ ენაზე წარდგენა გამოწვეულია ობიექტური გარემოებებით და ბრალდების მხარემ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გადააგზავნა ხსენებული დოკუმენტები სათარგმნად, აღნიშნულზე საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე და ამასთან, ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

მოცემულ შემთხვევაში კი ბრალდების მხარის მოსაზრება, რომ ობიექტურად შეუძლებელი იყო დოკუმენტების ქართულ ენაზე ნათარგმნი სახით წარდგენა სასამართლოში საგამომიებო კოლეგიას არ მიაჩნია დასაბუთებულად და საკმარის არგუმენტად საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, მითუმეტეს, რომ ბრალდების მხარის პოზიციის გაზიარების შემთხვევაშიც, პროკურორს თუ კი მიაჩნდა, რომ არსებობდა ობიექტური გარემოებები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, წინასასამართლო სხდომამდე გააჩნდა სამართლებრივი შესაძლებლობა მიემართა სასამართლოსთვის დასაბუთებული შუამდგომლობით წინასასამართლო სხდომის ჩატარებისათვის კანონით დადგენილი ვადის გონივრულ ვადაში გაგრძელების მოთხოვნით, რის შემდეგაც შეეძლო მიეღო და კანონის დაცვით წარედგინა სამართალწარმოების ენაზე ნათარგმნი სახით, როგორც მეორე მხარისთვის, ასევე სასამართლოსთვის უცხო ენაზე შესრულებული წერილობითი მტკიცებულებები,

რაც შემდგომში იქნებოდა ამ მტკიცებულებების დასაშვებად ცნობის საფუძველი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდების მხარეს აღნიშნული უფლებით არ უსარგებლია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული საჩივარში აღნიშნული გარემოებები იმ სტანდარტით, რომ იგი საკმარისი იყოს მითითებული მტკიცებულებების დასაშვებად ცნობისათვის. შესაბამისად, საგამოძიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებელ მტკიცებულებებად ცნობასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება არის მართლზომიერი.

აქვე, საგამოძიებო კოლეგია, პროკურორის მითითებაზე, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებლად ცნობის თაობაზე დაცვის მხარის შუამდგომლობასთან დაკავშირებით არ მიეცა შესაძლებლობა გამოეთქვა თავისი პოზიცია, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ სწორედ ბრალდების მხარემ იშუამდგომლა ხსენებული მტკიცებულებების დასაშვებად ცნობის შესახებ, რის შემდეგაც სასამართლომ მოისმინა პროკურორის პოზიცია და არგუმენტები და მხოლოდ ამის შემდეგ იქნა მოსმენილი აღნიშნულზე დაცვის მხარის განმარტებები, რომელიც წარმოდგენილი იქნა შუამდგომლობის ფორმით. შესაბამისად, მითითებულ საკითხზე სასამართლოსთვის ცნობილი იყო ბრალდების მხარის მოსაზრებები, რის გამოც საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ასეთ ვითარებაში საჩივრის ავტორის უფლებები არ დარღვეულა და აღნიშნული, არ წარმოადგენს რაიმე სახის ისეთ არსებით დარღვევას, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის საფუძველზე, მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე მხარეთა შუამდგომლობების განხილვისას, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე მიუხედავად იმისა, მეორე მხარე ხდის თუ არა სადაოდ რომელიმე მტკიცებულებას, ვალდებულია სრულყოფილად შეამოწმოს მხარეთა მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება და ისე მიიღოს გადაწყვეტილება მათი დასაშვებად თუ დაუშვებლად ცნობის შესახებ.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5, მე-11, 72-ე, 78-ე, 82-ე, 207-ე, 219-ე მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორ მილენა მითაიშვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის 2015 წლის 22 ოქტომბრის წინასასამართლო სხდომის განჩინება, ა. ჩ. ო.-სა და ა. ი. ქ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებლად ცნობის თაობაზე დარჩეს უცვლელი;
3. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის უფლებამოსილ პირებსა და ორგანოებს;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მოსამართლე
გიორგი მიროტაძე**